ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482206651**

თარიღი:**07/03/2022**

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N8-ში, შპს „ცისკარი როიალ პალასი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს.კ 29.08.34.054; მე-2 კლასი; განაშენიანების ფართი-1074.88 კვ.მ) შენობა- ნაგებობების დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-3-ე, მე-4-ე, მე-5-ე, მე-6-ე, მე-7-ე, მე-8-ე, მე-9-ე, მე-10-ე და მე-11-ე მუხლებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 94-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მე-100-ე, 103-ე, 104-ე, 105-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეთანხმდეს, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N8-ში, შპს „ცისკარი როიალ პალასი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს.კ 29.08.34.054; მე-2 კლასი; განაშენიანების ფართი-1074.88 კვ.მ) შენობა- ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცეს ნებართვა.

2. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს ერთი წლით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს მალხაზი ჩხეიძეს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი